დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2016 წლის 13 ივნისის
№ 262 დადგენილებით

დანართი

სურსათში ტრანსცხიმის ნორმა

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (შემდგომში - დადგენილება) მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ტრანსცხიმთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში.

2. დადგენილება ადგენს სურსათში ტრანსცხიმის მაქსიმალურად დასაშვებ ზღვრულ ნორმას საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული სურსათისათვის, რომელიც გამიზნულია ბაზარზე განთავსებისათვის.

3. დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ სურსათზე, რომელიც შეიცავს ტრანსცხიმს, მიღებულს ისეთი პროცესებისაგან, როგორიცაა:

ა) მცენარეული ცხიმის ჰიდროგენიზაცია;

ბ) მცენარეული ცხიმის მაღალ ტემპერატურაზე ექსტრაქცია (არანაკლებ 110°C);

გ) სურსათის შეწვა ან/და გაცხელება მცენარეულ ცხიმში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დადგენილების მიზნებისათვის გამოიყენება ამ მუხლით განსაზღვრული ტერმინები, რომლებსაც აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ცხიმი - საერთო ლიპიდები, მათ შორის, ფოსფოლიპიდები;

ბ) ტრანსცხიმი (ცხიმოვანი მჟავის ტრანსიზომერი) - ცხიმოვანი მჟავა, ნახშირბადის ატომებს შორის ერთი ან მეტი ორმაგი ბმით ტრანსიზომერულ კონფიგურაციაში;

გ) მცენარეული ცხიმი - ზეთოვანი ნედლეულიდან მიღებული ცხიმოვანი მჟავების გლიცერიდებისა და მათი თანმხლები ნივთიერებების ნარევი, რომელიც არანაკლებ 99% ცხიმს შეიცავს. იგი შეიძლება შეიცავდეს უმნიშვნელო რაოდენობით სხვა ლიპიდებს (მაგ.: ფოსფატიდებს, გაუსაპნავ მინარევებს) და თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს და შეიძლება იყოს როგორც მყარ, ასევე თხევად მდგომარეობაში ზეთის სახით;

დ) ზეთოვანი ნედლეული - თესლი, ზეთოვანი მცენარეების ნაყოფი, მცენარეული კულტურების ზეთშემცველი ნაწილი;

ე) ჰიდროგენიზაცია - მცენარეული ცხიმების შემადგენლობაში არსებული გლიცერიდების უჯერი ცხიმოვანი მჟავების უჯერი ბმების წყალბადით სრული ან ნაწილობრივი გაჯერება;

ვ) ჩვილი ბავშვი - ბავშვი დაბადებიდან ერთ წლამდე (12 თვის ჩათვლით);

ზ) სკოლამდელი ასაკის ბავშვი - 7 წლამდე ასაკის ბავშვი.

მუხლი 3. სურსათში ტრანსცხიმის ნორმა

1. სურსათში, ამ დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ტრანსცხიმის შემცველობა 100 გ მცენარეულ ცხიმში არ უნდა აღემატებოდეს 2 გ-ს.

2. ჩვილ ბავშვთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი არ უნდა შეიცავდეს ტრანსცხიმს.

მუხლი 4. შესაბამისობის შეფასება

ამ დადგენილებით განსაზღვრულ სურსათში ტრანსცხიმთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისობის შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

ამ დადგენილებით განსაზღვრულ სურსათში ტრანსცხიმის შემცველობის ნორმირების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.